2-15264/24
26-11-2024

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

ასლი: საორგანიზაციო დეპარტამენტს

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობისთვის და სამთავრობო პროგრამისთვის ნდობის გამოცხადების თაობაზე (07-2/2; 25.11.2024)

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა 2024 წლის 26 ნოემბერს განიხილა საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის ირაკლი კობახიძის მიერ ნდობის გამოცხადებისათვის წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა „2025 –2028 მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით ევროპისკენ“.

განხილვის ფარგლებში კომიტეტმა მოუსმინა საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატს ქალბატონ მაკა ბოჭორიშვილს. მინისტრობის კანდიდატმა კომიტეტს გააცნო მთავრობის საგარეო პოლიტიკის ხედვები და პრიორიტეტები.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 160-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომიტეტმა, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, მხარი დაუჭირა საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის ირაკლი კობახიძის მიერ ნდობის გამოცხადებისათვის წარმოდგენილ საქართველოს მთავრობის შემადგენლობას და სამთავრობო პროგრამას „2025 –2028 მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით ევროპისკენ“.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ლევან მახაშვილი